№ 83 აპრილი 17, კვირა 1888 აპრილი 17, კვირა № 83

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბეჰუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მანათი.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-79 § ძალით, წლიური მორიგი საზოგადო კრება ხსენებულის ბანკის ბბ. წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, ამა 1888 წლის ა თ ს მაისს, დილის 11 საათზე.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1887 წლისა;

ბ) დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1888 წლისა;

გ) შეცვლა და დამატება ზოგიერთთა ბანკის წესდების §§-ისა;

დ) დამტკიცება ინსტრუქციისა (დარიგებისა) ბანკის საკუთრებად დარჩენილთა მამულთა მოვლასა და გასყიდვაზე;

ე) აღნიშვნა იმ საგნებისა, რომლებზედაც უნდა მოხმარებულ იქმნას საზოგადო საჭიროებათა და აკმაყოფილებლად გადადებული ფული;

ვ) აღრჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, ზედამხედველის კომიტეტის წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა კანდიდატისა. (1—1)

---

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 §-ის ძალით 14 მაისს ამა 1888 წ., დილის 10 საათზე, დანიშნულია საერთო კრება წევრთა ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზე.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1887 წ. განმავლობაში;

2) მოხსენება თეატრის გადაკეთებისა, ქარვასლის შეკეთებისა და აგრეთვე ყველა ამ ქარვასლაში ახლად გაკეთებულის შენობის თაობაზედ;

3) მოხსენება ბანკის მმართველობისა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზედ 1888 წლისათვის;

4) მოხსენება ბანკის მმართველობისა საერთო საჭიროებისათვის გადასადების წმინდა მოგების თაობაზედ, რომლიდამაც 35% უნდა გადადებულ იქმნას ამ საგნისათვის;

5) მოხსენება იმ შემწეობის თაობაზედ, რომელიცუნდა აღმოეჩინოს ბანკში მოსამსახურეთა, ვინიცობაა ეს უკანასკნელნი ავადმყოფობამ დაიგდო;

6) არჩევანი ზედამხედველის კომიტეტის რვა წევრისა, რომელთაგანაც ა. ს. გამრეკელი, თ. ი. ი. ციციანოვი თავის თავად გაეიდნენ და ბ-ნი დ. ქ. ყიფიანი, თ. დ. ი. ავალოვი, თ. რ. შ. ერისთავი, თ. რ. დ. ერისთავი, თ. რ. კ. ვაჩნაძე და თ. დ. ზ. ბარათაშვილი რიგით გადიან;

7) არჩევანი მმართველობის თავმჯდომარისა ნაცვლად თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობას;

8) არჩევანი დამფასებელის კომისიის თავ-მჯდომარისა ნაცვლად კ. ლ. ფურცელაძისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს კომისიის თავმჯდომარეობას. (5—2)

---

ტფილისი, 16 აპრილი

სისხლის ნათესაობა და ნათესავური სიყვარული ადამიანთა ერთობისა და წარმატების უმველესი და უმთავრესი საფუძველია, და ოჯახი, რომელიც სულდგმულობს შთამომავლობის სიყვარულითა, არის დვრიტა და გული ყოველის საზოგადოებისა, ერისა. იმ ნათესავურს გრძნობასა და სიყვარულზე, რომელიც ასულდგმულებს ყოველს კრებულს ადამიანისას, აგებულია საზოგადოდ კაცთ-მოყვარეობაცა. ნადირ-მყოფი ადამიანი, რომელსაც მხოლოდ თავისი შვილები უყვარდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, გარდაიქმნა ისეთ ადამიანად, რომელსაც დღეს ძალ-უძს არა-ნათესავთა სიყვარულიცა. მართლადაც, გადაათვალიერეთ მთელის კაცობრიობის წარსული და აწმყო და შენიშნავთ, რომ ყველგან და ყოველთვის ღვივოდა ნათესავური სიყვარული; რომ ამ სიყვარულიდგან წარმოსდგა საზოგადოდ ადამიანის სიყვარულიცა. თან იმასაც შენიშნავთ, რომ ყოველი ადამიანი ცოტად თუ ბევრად მოწადინებულია თავისებურად მაინც ბედნიერება დაუმკვიდროს თავის შთამომავლობას, რომ ადამიანი მერმისითაც სცხოვრობს და სულდგმულობს. აი, სად არის იმის მიზეზი, რომ დღევანდელი ადამიანი ეგრე მოწადინებულია სხვა ბედნიერებასთან ერთად თავის შთამომავლობასაც მიანიჭოს საფუძვლიანი სწავლა-ცოდნა, რომელიც დღეს უმთავრესი სახსარია წარმატებისა და ბედნიერებისა. ის საზოგადოება-კი, რომელიც, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, დროის შესაფერად ვერა ჰზრუნავს თავის შთამომავლობაზე, მკვიდრი ვერ არის, რადგანაც საფუძველი გამოცლილი აქვს და მერმისიც ხელიდგან მიუდის. ამ გვარს საზოგადოებას ხომ თან-და-თან უნდა ეკარგებოდეს სიცოცხლისა, ესე იგი მერმისის იმედი...

ყოველივე ესე მოგვაგონა შემდეგმა ფრიად შესანიშნავმა და სამაგალითო გარემოებამ, რომელმაც მწერლობის ყურადღება მიიქცია. ამ ორმოციოდე წლის წინად შვეიცარიაში ერთმა ვაჭარმა, დანიელ რენიემ, საკუთარის ფულიდგან გამოიღო ერთი წილი საოჯახო თანხის დასაარსებლად და შეადგინა წესდება საოჯახო კასისა. კასას საგნად ისა ჰქონდა, რომ დამაარსებელის შთამომავლობისათვის მიეცა სწავლა-განათლება და მოხუცებულებისათვის შემწეობა აღმოეჩინა. არც ერთს წევრს რენიეს შთამომავლობისას, ერთიც რომ დარჩენილიყო, წესდების ძალით, ნება არა ჰქონდა კასას დაჰპატრონებოდა. კასა იმის შვილზე და შვილის-შვილებზე უნდა გადასულიყო. თუ მთელს გვარეულობაში მემკვიდრედ მხოლოდ ქალები იქნებოდნენ, მაშინ ქალებს ერთმანეთს შორის თანაბარად უნდა გაეყოთ, ხოლოე რთი მეათხედი მთელის კასისა იმ ადგილის ღარიბთა სასარგებლოდ უნდა შეეწირათ, სადაც დამარხული იქნებოდა უკანასკნელი მამაკაცი რენიეს გვარეულობისა. რენიეს გვარეულობის წევრნი ყოველს წელიწადს თავს იყრიდნენ დანიშნულს დროზე კასის საქმეებისა და ანგარიშის განსახილველად. ამათ შეჰქონდათ თავიანთი წვლილი და სხვა-და-სხვა შესაწირავი საერთო კასაში, ასე რომ ამ ორმოციოდე წლის განმავლობაში მთელს გვარეულობას დიდ-ძალი ფული მოუგროვდა.

გამრავლდა რენიეს გვარი, რომლის წევრნი განიფანტნენ და დაფუძნდნენ სხვა-და-სხვა ადგილებში, მაგრამ კასა მაინც არსებობდა; წევრნი დანიშნულს დროზე იკრიბებოდნენ და ზრდიდნენ მოზარდს თაობას, მოხუცთა და უძლურთ შემწეობას აძლევდნენ და ამ გვარად, სინიდისიერად ასრულებდნენ ანდერძს დანიელისას. მთელს გვარეულობაში არ მოიპოვებოდა არც ერთი ულუკმაპურო, უსახლ-კარო და გაუნათლებელი წევრი [illegible] ყოველივე დანიელ რენიეს ანდერძისამებრ მიმდინარეობდა, სანამ ერთმა წევრმა გვარეულობისამ, ედუარდ რენიემ, საჩივარი არ განაცხადა და სასამართლოს არ მიჰმართა. ედუარდმა სთხოვა სასამართლოს, რომ ჩემი წილი გამომი-

---

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

«თავისისავე გაუფრთხილებლობით»

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და მე-კი მუდამ ყურადღებითა ვკითხულობ ხოლმე გაზეთში წვრილის ასოებით დაბეჭდილს სტრიქონებს, რომელიც «ახალ ამბების» ბოლოშია მოქცეული. ეს სტრიქონები გულაუმღვრევლად, დინჯად და გამორკვეულად მოგვითხრობს ან უბედურ რაიმე შემთხვევას, ან ქურდობას, ან ცარცვა-გლეჯას, რომელიც მომხდარა ქალაქში. მაგალითად, ჰკითხულობთ: „5 იანვარს, ტფილისის მეათე განყოფილებაში, პოლიციამ, შემდეგ ხანგრძლივის ძებნისა, შეიპყრო მორაპნის აზნაური გოჯასპირ უჩინმაჩინიშვილი, რომელსაც თავის ბატონის ბუდდან გასპარიჩ საკეჰიანცისათვის მოეპარა ერთი სავარცხელი, ერთი პირსახოცი და ერთიც კაი ნაჭერი ზურგიელი. ნაპარევი გამოძიებამ დააფასა თუმან ცხრა მანათ ნაკლებ. გოჯასპირ უჩინმაჩინიშვილი დაპატიმრებულია და გამოძიება სწარმოებს“.

ამისთანა ამბებსა ჰკითხულობ და ჰხედავ, რა მომხდარა ტფილისში ამა-და-ამ ღამესა თუ დღეს და თანაც, რაც გინდ უსიამოვნო ამბავი იყოს, ჰნუგეშობ იმითი, რომ საქმე გამომძიებელს გარდაეცაო, თუმცა-კი ზოგჯერ არის შემთხვევა, რომ საქმე გამოუძიებლადაც თავდება, ე. ი. კაცს ან სული ჰხდება უგამომძიებლოდ, ან შეემთხვევა რამ ისეთი, სადაც გამომძიებელი ხელს იბანს და იძახის — ეგ ჩემი საქმე არ არისო. ესეთ შემთხვევაში გაზეთს აცნობებენ, რომ ამა-და-ამ კაცს დაემართა ცუდი საქმე «თავისისავე გაუფრთხილებლობითაო». დიდი რამ არის ეს «თავისივე გაუფრთხილებლობა». ამ სიტყვებით მემატიანე თვითონვე განაჩენს არდგენს და გვეუბნება: არავის-რა ბრალი დასდოთ, «თავისისავე გაუფრთხილებლობით» წაიხდინა კაცმა საქმეო. ერთის სიტყვით, თუკი თვითონ გაფრთხილებული იქნებოდა, არა უბედურება არ მოჰხდებოდა. აბა, მაგალითად, ყური დაუგდეთ:

«ცხრა მარტს, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, აზნაურ გიორგი თამამშოვის ორთქლით მომუშავე წისქვილში ტფილისის გუბერნიის სოფელ ხანლის მცხოვრებს გლეხს, იობ კირშელაშვილს, თავისისავე გაუფრთხილებლობით, ჩარხმა სამი თითი მოაგლიჯა მარცხენა ხელზედ. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს».

ამისთანა ამბები ხშირია, ხოლო მე ერთს კიდევ მოგიყვანთ, მეტს არა:

«ორ აპრილს, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, სამსახურიდამ გამოსულ კაპიტნის პეტრე იასნიცკის საჩილინგდრო ქარხანაში მომუშავემ, ტფილისის მცხოვრებელმა, ივანე კუდანოვმა, თავისისავე გაუფრთხილებლობით, ჩარხზე მოიგლიჯა მაჩვენებელი თითი. დაშავებული სამხედრო სამკურნალოში წაიყვანეს».

**

ამ ამბებში ყველაზე უფრო მომწონს ენა, რომელიც ყველაფერს ისე გატყობინებს, რომ აღარაფრის ეჭვი არა გრჩება ხელთა. პირველ ამბიდამ ჩვენა ვხედამთ, რომ ორთქლით მომუშავე წისქვილი ყოფილა პოლიციის მეშვიდე ნაწილში, რომ ეს წისქვილი შეადგენს საკუთრებას აზნაურ გიორგი თამამშოვისას და არა სხვისას, რომ იქ უმუშავნია გლეხს, რომლის სახელი ყოფილა იობი და გვარი კირშელაშვილი, რომ ეს გლეხი ტფილისის გუბერნიის სოფელ ხანლიდამ ჩამოსულა და არა სხვა რომელიმე სოფლიდამა, რომ ჩარხს ამისათვის მოუგლეჯია არა ოთხი და ხუთი თითი, არამედ მარტო სამი თითი და ეს თითებიც მარცხენა ხელისა და არა მარჯვენასი. მაგრამ ყველაზე მანუგეშებელი ის არის, რომ იობა კირშელაშვილს ასეთი უბედურება დაჰმართებია „თავისისავე გაუფრთხილებლობით“ და რომ იგი მზრუნველთ სამკურნალოში გაუგზავნიათ.

რასაკვირველია, კარგი იქნებოდა შეეტყობინებინათ ჩვენთვის ერთი უბრალო გარემოებაც, მაგალითად — როდესაც იობა კირშელაშვილი სამკურნალოში გაჰგზავნეს ორთქლით მომუშავე წისქვილიდამ, მიიყვანეს კიდეც სამკურნალოში, თუ შუა გზაზე გაანებეს თავი; რომ მიიყვანეს, სამკურნალომ აღმოუჩინა შესაფერი დახმარება, თუ უთხრა — შენა, შვილოსავ, საკუთარის გაუფრთხილებლობით მოგხდენია მარცხი და, მაშასადამე, აზნაური გიორგი თამამშოვი, ორთქლით მომუშავე წისქვილის პატრონი, არ იკისრებს ხარჯს შენის წამლობისას, თითონ შენ ხანლის გლეხი ხარ და გეტყობა გაჭირებულიცა, თორემ სოფლიდამ აბა რა ეშმაკი ჩამოგიტყუილებდა ამ ვერანა ადგილას, და თუ გიჭირს, მაშ ჩვენ საიდამ გადაგვიხდი წამლობის ხარჯსა. ამიტომ მშვიდობით, იობა კირშელაშვილო, და კვლავ-კი ეცადე მარჯვენა ხელი მაინც შეინახო და საკუთარის გაუფრთხილებლობით იმაზედაც სამი თითი არამ მოგგლიჯოს, თორემ თუ ვინიცობაა ეხლა გადაჰრჩი, შემდეგში ძნელად-ღა გადურჩებიო.

აი ამ გარემოებას ვერა ვხედავთ ამისთანა ამბებში, სამაგიეროდ ვიცით, რომ კაცს წისქვილში უმუშავნია, ვიცით წისქვილის პატრონი, იმისი ჩამომავლობა, ვიცით, რომ სამი თითი აღარა აქვს იობსა, რომ მათ მაგიერ იობას დაჰრჩა მწვავე იარა და ვინ იცის, როგორი მერმისი. გამომძიებელი თავისთვის არის, რადგან იობას «თავისისავე გაუფრთხილებლობით» მოჰხდენია უბედურება, მაშასადამე, მშვიდობიანად უნდა დარჩეს წისქვილიც, იმისი პატრონიც და თვით ის სამი თითიც, რომელიც მოეგლიჯა იობსა და რომელიც აქამდე მოუსვენრადა მუშაობდნენ ლუკმა პურის გულისათვის.

ისეთივე ღირსება აქვს მეორე ამბავსაცა და სხვა მრავალ ამ გვარ ამბებს — გძელი სიტყვა მოკლედ არის ნათქვამი და რამდენიმე სტრიქონი გვეუბნებათ ურცელს აქიას ივანე კუდანოვის მაჩვენებელ თითისას, რომელიც, იობა კირშელაშვილის სამის თითისა არ იყოს, შემდეგ მოუყვენა-

ყავით სარგებლითურთ და განმათავისუფლეთ საგვარეულო ვალდებულებისაგანაო. ამ რიგად ედუარდ რენიემ აღძრა ფრიად საინტერესო იურიდიული საკითხავი და სასამართლოც ძალიან ჩააფიქრა. სასამართლომ სინიდისიერად განიხილა ედუარდ რენიეს თხოვნა და უარ-ჰყო იგი. სასამართლომ გამოუცხადა ედუარდს, რომ რადგანაც დანიელ რენიემ გასა დააარსა თავის შთამომავლობის აჲსაზრდელად, საფუძვლად ჰქონდა ჩვეულებრივი უფლება, რომელიც მხოლოდ 1855 წელს იქმნა გაუქმებული, და ამიტომაც ნება არა გაქვს გამოყოფა ითხოვოო. ედუარდმა სხვა საბუთებიც მოიყვანა უავის სარჩვრის დასამტკიცებლად მაგალითად ისა, რომ დანიელის გასა ამხანაგობააო, რომლიდგანაც წევრს შეუძლიან გავიდეს და თავისი წილი გაიტანოსო, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ რენიეს მიერ დაარსებულ გასას ჩვეულებრივის ამხანაგობის ბუნება არა აქვს, რადგანაც თავიდამვე გვარეულობის წევრებს ხელ-შეკრულობა არ დაუწერიათ, არამედ დანიელის ანდერძისა და ჩვეულებრივის უფლების მიხედვით ჰმოქმედობდნენო.

ა. ს—ი

# ახალი ამბავი

*** დღეს დაიწყება გასყიდვა წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში მდიდრულის სურათებიანის «ვეფხის-ტყაოსანისა», რომელიც ამ-[illegible] უკვე რამდენიმე ოცი მოუმზადებია. ვისაც უნახავს მომზადებული წიგნი, დიდად აქებს იმის სიკეთესა და სილამაზეს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიას უეწმინდესის სინოდისაგან მოუვიდა ზოგიერთი განკარგულებანი შესახებ საქართველოს სასულიერო სასწავლებლისა. ეს განკარგულებანი გამოიწვია ტფილისის სემინარიის მმართველობის წარდგენილობამ. ამ ორიოდე თვის წინად სემინარიის მმართველობამ სინოდში წარადგინა თავისი აზრი შესახებ იმ გარემოებისა, რომ აქაურს სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებელთა შორის გაკვეთილები თანასწორად არ არის განაწილებული. მაგალითად, ერთს რომ აქვს 24 გაკვეთილი, იმავე დროს მეორესა აქვს 12, 13, ან 15-ტიო. ეს გარემოება, გარდა ქონებრივის უსწორ-მასწორობისა მასწავლებელთა შორის, ცოტაოდნად თვით სწავლის საქმესაც აბრკოლებდა.

ხოლო უეწმინდესს სინოდს ამ მოხსენების გამო შემდეგი განკარგულება მოუხდენია, წინანდელი კვირეული რიცხვი გაკვეთილებისა შეუმცირებია შვიდითა თუ რვა გაკვეთილით: არითმეტიკა და გეოგრაფია 5 გაკვეთილით, ქართული 1 გაკვ., ლათინური 1 გაკ., კატეხიზმო 2-თა. მხოლოდ რუსულისათვის მიუმატებია 1 გაკვეთილი.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, ბ-ნი პატოცკი, უეწმინდესის სინოდის განკარგულების ძალით გადაყვანილ იქმნა პერმის სემინარიის ინსპექტორად.

*** ქალაქის საბჭომ ამას წინად დაადგინა ვერის ხიდის ჩასავალი ტროტუარი ქვით დაჰფინოს. ამ დღეებში უკვე შეუდგა ქალაქი დამზადებულ ქვის ზიდვასა. ამ სახით, მოკლე დროში ქალაქს შეემატება ისეთი ადგილი, სადაც შესაძლოა იქნება სეირნობა და წმინდა და სუფთა ჰაერის სუნთქვა, მით უმეტეს, რომ ეს ახალი ტროტუარი შეაერთებს გოლოვინის პროსპექტს მიხეილის ქუჩასთან.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ 17 აპრილიდამ შეუდგება ქალაქის გამგეობა ახალის გადასახადის შემოღებას. ეს ახალი გადასახადი, თუ ახსოვს მკითხველს, შეეხება ურმებს, „პოვოსკებსა" და გასასყიდ პირუტყვებს. 17 აპრილს უკვე გადიხდიან ხარჯსა, ვინც-კი საქალაქო მოედანზე დააყენებს ურემსა და საქონელს. თითო ურემი გადაიხდის ორ-ორ შაურს, თითო სხვილი პირუტყი—თითო შაურს, ხოლო ცხვარი და ღორი—ორ-ორ კაპიკსა.

*** ნორაშნისა და ახლო-მახლო ქუჩები საძაგელს მდგომარეობაშია. ქუჩებში გადმოყრილია ლანძღი, ჰინჭარი, ლობიო; აივნებიდამ ჰღვრიან ჭურჭლის ნარეცხსა და ყოველს უწმინდურებას, რის გამოც ძალიან მძიმე ჰაერი ტრიალებს ამ ნაწილში. ამ ქუჩაზე ორი ეკკლესიაა და ხალხი მიმოსვლა არა სწყდება. საჭიროა, რომ ეხლა მაინც, როდესაც სიცხეები დაიჭირა, მიაქციონ ყურადღება.

*** მას შემდეგ, რაც აკრძალეს მტკვრიდამ წყლის ზიდვა, მეთულუხეები საწყალს ხალხს ნისიად აღარ უზიდავენ წყალსა, რის გამოც მდაბიო ხალხი ძალიან შევიწროებულია. ვერელები სჩივიან: ერთის შაურის წყალს არ გვანდობენ და მუდამ სადა გვაქვს, რომ მოტანისათანავე გავუსწორდეთო.

*** არც ერთი პოლიციის ნაწილი არ არის ისე თავ-მინებებული, როგორც მეხუთე—იარმუკიდამ დაწყებული. აქ ერთს ქუჩაში კრამიტი დაუწყვიათ, მეორეში—კირს ურევენ, მესამეში—სახლი დაუნგრევიათ და ფეხით მოსიარულეთათვისაც-კი გასავალი ადგილი არ არის; ზოგი ქუჩა მთლად ნაგვისა და უწმინდურობის ადგილად გაუხდიათ. ყველა ეს «უჩასტკის» გარეშემო რამდენსამე ნაბიჯზე ხდება და ყურის მგდებელი-კი არავინ არის.

*** გუშინ-წინ, 15 აპრილს, გამოვიდა მე-89 №-რი გაზეთის „Кавказское Обозрѣніе»-სი, რომელიც სხვა-და-სხვა გარემოების გამო შეჩერებულ იქმნა შარშან ამ დროს.

*** იშვიათი ბეჯითობა გამოიჩინეს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა ახალგაზდა სომხებმა. ამ უკანასკნელ ხანებში შვიდი-რვა წიგნაკი გამოსცეს, ხალხის საკითხავად შედგენილი; ეს წიგნები ტფილისშიაც ისყიდება 3—5 კაპეიკად. ამ წიგნაკებში მოიპოვება პატარ-პატარა მოთხრობები, ბუნების მოვლენის განმარტება, ან ახსნა ცხოვრებაში საჭირო ცნობებისა და დაწერილებია მარტივად გასაგების ენითა. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ სომხის სტუდენტობამ პეტერბურგსა და მოსკოვში დიდი ხანია თავი იჩინა სხვა-და-სხვა გვარის წიგნების გამოცემითა სომხურს ენაზედ; ამ უკანასკნელ წლებში ხომ უმეტესად თავი იჩინა ამ პატივ-საცემმა მოღვაწეობამ. კარგა ხანია სომხის სტუდენტობა მიხვდა, რომ უკეთესი მომზადება ცხოვრებაში მოღვაწეობისათვის თვით სასწავლებელში სწავლის დროსვე უნდა იწყებოდეს და არა ისე, როგორც სხვანი ჰფიქრობენ: ჯერ რა იმისი მცხელა, როცა კურს გავათავებ, ცხოვრებაში ფეხს მოვიკიდებ, მერე ვიფიქრებ საზოგადო მოღვაწეობისა და მწერლობისათვისაცაო. ამისთანა აზრისანი არიან უფროსი-ერთი ჩვენი ქართველი სტუდენტები. კიდეც ეს არის მიზეზი, რომ სომხები, უმაღლეს სასწავლებელში კურს-დასრულებულნი, საზოგადო და სამწერლო ასპარეზზედ უფრო ბევრნი გამოდიან.

*** ამ ჟამად ტფილისის მაღაზიებში ისყიდება პეტერბურგში ახლად დაბეჭდილი რუსული წიგნი «Исторія Арменіи» (სომხეთის ისტორია), თხზულება აბაზასი. ფასი წიგნისა ერთი მანეთია.

*** ჩვენ მოგვივიდა ამბავი, რომ სოფ. ახალ-ქალაქში, თარხნიანთ მამულში, არხიტექტორს სკოიანეს ტყე ალებული ჰქონია, თუ ტყეში მუშაობის გამგებელი ყოფილა, მონაჭერი ხე დასცემია და იქვე მომკვდარა.

*** საგურამოდგან გვატყობინებენ, რომ თიანეთის მხარეს აკეთებენ გზა-ტკეცილებსა და ამის გამო აქ მუშაობს დიდ-ძალი ხალხი, რომელიც გამოუწვევიათ გარშემო მდებარე სოფლებიდამაო.

*** «მშაკსა» სწერენ, რომ 1890 წელს, ივნისის 13-ს, ვენეციაში, წმინდა ლაზარეს მონასტერში, სომეხ-კათოლიკე ბერები იდღესასწაულებენ გამოჩენილ მეცნიერის მამა ღეონდ ალიშანის ბერობის ორმოც-და-ათის წლის იუბილეისაო. მამა ალიშანი გამოჩენილი მეცნიერია სომხობაში და ევროპაშიაც, როგორც სომხეთის ისტორიისა და არქეოლოგიის მცოდნე. იგი სცხოვრობს ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში, რომელიც თითქმის ორასი წელიწადია, რაც დაფუძნებულია და რომელსაც თავისი სკოლა, სტამბა და მდიდარი წიგნთ-საცავი აქვს. ეს მონასტერი ცნობილია ევროპაში, როგორც ბუდე სწავლულ სომეხთა ბერთა, რომელთაც მრავალი შესძინეს ევროპის მეცნიერებასა და სწავლა-განათლება მოჰფინეს სომხის ერსა, საცა-კი სომხობა სცხოვრობს.

*** «მშაკსავე» სწერენ ერევნიდამ: აქ ხალხში ხმა გავარდა, რომ რვა კომლზე თითო კომლი კასპიის ზღვის იქით ახალ-დაჭერილს ადგილებში უნდა გადაასახლონ ამ ახლო ხანებში იქაურ ცარიელ ადგილების მოსაშენებლადაო. ამ საგანზე «მშაკის» მეთაურს წერილში, შაბათის ნომერში, ნათქვამია, რომ ეს ამბავი მეჭორე კაცებისაგან არის მოდებულიო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

„ივერიის" მე-80 №-ში დაბეჭდილია პატარა შენიშვნა, შესახებ პ. კვიცარიძის მიერ

---

რის ცხოვრებისა, მიეცა დაწყნარებულს და უბოროტო არარაობას. აქაც ვიცით, სად რა მომხდარა, ვინა ყოფილა ქარხნის პატრონი, როგორი ქარხანა ჰქონია, აქაცა ეხედავთ იმავე—«თავისავე გაუფრთხილებლობას», მაგრამ აქაც-კი გამოტოვებულია ის უბრალო გარემოება, თუ რა გულითა და პირით დაჰხვდა სამკურნალო და ვისის ხარჯით გაუწია დახმარება ივანე კუდანოვსა, ისიც თუ-კი გაუწია რაიმე დახმარება...

**

ამ ამბების კითხვაში მე სულ მუდამ მაკვირვებდა და მაკვირვებს ერთი გარემოება. ვთქვათ, ბუღდან გასპარიჩ საკეაზიანცმა მართლა დაჰკარგა ერთი სავარცხელი, ერთი პირსახოცი და ერთიც მოზრდილი ნაჭერი ზურგიელი. ვთქვათ, ამ დანაკლისის ფასი მართლა თუმანს ცხრა მანათ ნაკლები იყო. გამომძიება გულ-მოდგინედ შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას და მიაგნო კვალს ქურდისას, რომელიც აღმოჩნდა შორაპნის აზნაური გოჯასპირ უჩინმაჩინოშვილი. პოლიციამ, შემდეგ ხანგრძლივის ძებნისა, შეიპყრო დამნაშავე და საპატიმროში ამოაყოფინა თავი.

ეხლანდელის დროების მიხედვით, ძალიან ჩინებულად მოიქცა გამომძიებელი, რომ ქურდის აღმოჩენას შეუდგა. აგრეთვე კარგადა და მარჯვედ მოიქცა პოლიცია, რომ დაიჭირა გოჯასპირი—რა უნდოდა ბუღდან გასპარიჩისაგან, რადა სტოვებდა პატიოსან კაცს უსავარცხლოდ, უპირსახოცოდ და მეტადრე უზურგიელოდ! ზოგჯერ ერთი ლუკმა ზურგიელი ოქროდ უღირს კაცსა. სად მიჰქონდა, რომ მიჰქონდა გოჯასპირსა! ახია იმაზე...

ხოლო მე ის მაკვირვებს, რომ თუ-კი კაცებს თითები ეგლიჯებათ და იძახიან «საკუთარის გაუფრთხილებლობითაო», ნუ თუ ერთი სავარცხელი ერთი პირსახოცი და ერთი ნაჭერი ზურგიელი, რომელთა ფასი სულ თუმანს ცხრა მანათ ნაკლებია, ჰო, ნუ თუ ეს ნივთები უფრო ძვირფასია, ვიდრე ერთი, ორი, სამი თითი მარჯვენა თუ მარცხენა ხელისა. ნუ თუ კაცი, რომელიცა ჰკარგავს სხეულის ასოს და ზოგჯერ მთელ სიცოცხლესაც თავის დამქირავებლის საქმეზედ, იმითია გასაშორებელი თავიდამა, რომ «საკუთარის გაუფრთხილებლობით» შეემთხვა ესადა-ეს უბედურებაო! მაშ განა ბუღდან გასპარიჩმა საკუთარის გაუფრთხილებლობით არ დაჰკარგა ერთი სავარცხელი, ერთი პირსახოცი და ერთიც მოზრდილი ნაჭერი ზურგიელი? რომ გაფრთხილებული ყოფილიყო, ეს ნივთები, ფასით თუმანს ცხრა მანათ ნაკლები, დღესაც ჯიბეში ექნებოდა ბუღდან გასპარიჩს.

და საქმეც ის არის, რომ თუმცა ყოველივე შემთხვევა ქურდობისა, ავ-კაცობისა და კაცთ-მკვლელობისა შეიძლება საკუთარ გაუფრთხილებლობას მიაწეროთ, ყველგან იპოვნით «თავისავე გაუფრთხილებლობას», მაგრამ მაინც, გარდა ამ ზოგად მიზეზისა, კანონ-მდებლობა იძიებს კერძო, ახლო მიზეზებს და პასუხის გებაშიაც აყენებს ამ მიზეზებსა.

კარგია კიდევა, რომ ასეთს მატიანურ ენას ვერ შეჰხვდებით იმისთანა გარემოების დროს, როდესაც ქარხნის პატრონი რაიმე მიზეზით დაჰკრავს თავში კეტს და დააშავებს თავის მუშას, თუმცა აქაც-კი შეიძლებოდა მემატიანეს ეთქვა: მუშამ საკუთარის გაუფრთხილებლობით დაიმსახურა კეტი მექარხნისა თავში და ძალიან დაშავდა... თავისისავე გაუფრთხილებლობითაო, ვითარცა იობა კირშელიშვილი და ივანე კუდანოვი.

**

სწორედ დიდ-აზროვანი სიტყვაა—«თავისისავე გაუფრთხილებლობით». იქნება მკითხველთაგანი არა ერთი და ორი იცნობდეს ერთ ფრანგს ქალსა, სახელად მადამ საროს, რომელიც ამ ათის წლის წინად ძრიელ შეძლებული მოქალაქე იყო ტფილისისა, ჰქონდა დიდი სახლი, კაი ბაღი და ერთიც ქარხანა. რაკი ამ ქალს მოუკვდა ქმარი და უშვილო იყო, უნდოდა გაეყიდნა თავის საცხოვრებელი და გადასახლებულიყო სამშობლო საფრანგეთში. მუშტარიც ხელად იშოვნა: ერთი ბეგი, დიდის ხნის კაი ნაცნობი იმისი და მეგობარი, გამოჩნდა ამ მამულების შესასყიდად, გარიგდნენ ფასზე—სამი ათას თუმანზე. ალამ ანუ პარუნ ბეგმა მადამ საროს თვალ-წინ დათვალა სამი ათასი თუმანი და ერთად შეიტანეს ბანკში შემდეგის პირობით: სამი ათასი თუმანი ბეგისა ბანკმა მისცეს საროს მხოლოდ მაშინ, როდესაც მადამ სარო წარუდგენს ბანკს ბეგის ხელ-წერილსა ამის შესახებ და კანონიერად ჩააბარებს მამულსა და შენობებს. მერე წავიდნენ ნოტარიუსთან, დაამტკიცეს ნასყიდობის ქაღალდი და მოაწერეს ხელი. ბეგმა ქაღალდი ჩაიდო ჯიბეში, მივიდა, დაეპატრონა სახლ-კარსა და მადამ სარო-კი დიდის სიჩქარით და თავაზით გადასახლდა აქედამა, რომ არ შეევიწროებინა ახალი პატრონი. იქამდის ეთავაზებოდა მადამ საროსა, რომ არც-კი აგონებდა მსყიდველს,—ჩქარა ფული ჩამაბარეო. მადამ სარომ იცოდა, რომ ფული ბანკშია და მიიღებს მაშინვე, რაკი კანონიერად შევა ბეგი მფლობელობაში. გადის დრო და ხანი. ბეგი არა ჩქარობს მფლობელობაში შესვლას კანონიერ ფორმებითა. ბეგმა იცის, რომ უიმისოდაც მფლობელობაშია, და რაღა საჭიროა იმისთვის რაღაც ფორმალისტობა—დიდი ლიბერალი გახლდათ და გახლავთ დღესაც ბ-ნი ალა, თუ პარუნ ბეგი, იქამდის ლიბერალი, რომ აგერ რამდენიმე წელიწადი გადის და ის-კი მაინც ჯერაც კანონიერად არ გადაქცეულა პატრონი საროს მამულებისა, მაგრამ ნამდვილად-კი პატრონიც არის და მეტიცა.

სარომ დიდხანს ითმინა და რა ჰნახა, რომ ბოლო არა აქვს ფულის ჩაუბარებლობას, თავაზიანად და მორცხვობით მოაგონა ალა ბეგსა—მოიწვიეთ, ბატონო, ბოქაული და ჩაიბარეთ მამულები, რომ მე მალე წავიდე ჩემს სამშობლოშიო. ალა ბეგმა ყური მოიყრუა და რამდენიმე წელიწადი დაპირებით ჩაატარა. ბოლოს სარომ მიჰმართა, სადაც ჯერ არს. ვერც ამან უშველა. შემდეგ სულ ერთიან გაღარიბდა უპატრონო და უნათესავო მადამ სარო. ალა ბეგმა შეიბრალა მადამი და დაუთმო ერთი ქუხნის მგზავსი ოთახი სარდაფში, რასაკვირველია, მუქთად—გულ-კეთილობაც იცოდა ხანდისხან ალა ბეგმა. მერე ხმა დავარდა, რომ სარო მოწამლესო. მართლა სხვებმა მოწამლეს, თუ შეცდომით მადამ სარომ ღვინის მაგიერ შხამი დალია საკუთრივ, არ ვიცი და ეს-კი ნამდვილია, რომ თუ მაშინათვე არ გაქანებულიყო მადამ სარო სამკურნალოში, ერთს საათზე გათავდებოდა იმის სიცოცხლე. ექიმებმა მოაბრუნეს. შემდეგ ფეხი აღარ დაუდგამს ალა ბეგის

...შედგენილის გრამატიკისა. შენიშვნის დამწერი ბრალსა მდებს, ვითომ მე გრამატიკიდამ ზოგიერთი ადგილები გამომიტოვებია და ზოგიერთი სიტყვები ჩემებურად შემიცვლია. მე სწორედ სამწუხაროდ მიმაჩნია ასეთი ცილის წამება და ამით შეურაცხყოფის მოყენება. ნეტა ვინ მოიგონა ასეთი სამარცხვინო ტყუილი, ნეტა ვინ რითი ხელმძღვანელობდა იმ დროს, როცა ამ სიცრუეს თქვენს რედაქციას აპარებდა. იქნება თვით ავტორმა მოიწერა, ეს მე არ ვიცი; შევიტყობ-კი და თუ ყოველივე აღმოჩნდა, მაშინ მე იმასთან მექნება საქმე, რადგანაც იმისი დედანი ხელში მაქვს.

უნდა მოგახსენოთ, ბ-ნო რედაქტორო, რომ გრამატიკაში არამც თუ ადგილები არ გამოვტოვე და სიტყვები არ შევცვალე, არამედ არც ერთი უბრალო ნიშანიც-კი არ ჩამიმატებია. ამიტომ დაგარწმუნებთ, რომ ეგ ამბავი თავიდამ ბოლომდის ტყუილია. იმასაც-კი მოგახსენებთ, რომ რამდენსამე ფურცელზე მცირე დაგვიანება მოხდა, მაგრამ ამის მიზეზი ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზები იყო, რომლის შესახებ საუბარი მე აქ მეტად მიმაჩნია. თუ საჭიროება მოითხოვს, მაშინ მე მზადა ვარ დაბეჭდილის დედანი თვით თქვენს რედაქციაში წარმოვადგინო, თქვენ შეადარებინოთ ხელთ ნაწერი დაბეჭდილთან და ამით დაგარწმუნოთ, რომ ჩემი იქ არაფერია შერთული.

ზ. ჭიჭინაძე

# რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო რჩევაში საბოლოოდ შეუმუშავებიათ ახალი სააფთიაქო პროექტი. ამ პროექტით ქალებსაც იგივე უფლება ექმნებათ, რაც კაცებს, თუ შეუდგებიან აფთიაქრობის საქმეს, მიიღებენ საჭირო სწავლას და მოწმობას. აფთიაქის გამართვა შეეძლებათ მხოლოდ იმათ, ვისაც სააფთიაქრო სწავლა მიუღიათ. ახლა რომ ყველა [...]რძო კაცს შეუძლიან გამართოს აფთიაქი, ეს აღარ იქნება. აფთიაქის პატრონი თავის აფთიაქს, თუ არ ფარმაცევტს, სხვას ვერავის ვერც მიჰყიდის, ვერც დაუგირავებს და ვერც იჯარით გასცემს. შეუძლიან მხოლოდ გადასცეს თავის კანონიერს მემკვიდრეებს, ისიც იმ პირობით, რომ, თუ ისინი ფარმაცევტები არ არიან, უთუოდ გაჰყიდონ ერთის წლის განმავლობაში. იმის გადაწყვეტა, თუ რამდენი აფთიაქი უნდა გაიმართოს რომელსამე ალაგას, მიენდობა საქალაქო და სათემო დაწესებულებათა და არა საექიმო გამგეობას, როგორც აქამდის იყო. მხოლოდ საექიმო გამგეობის მიერ უნდა წარდგენილ იქმნას და შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დამტკიცებული.

— გაზ. «Новости» ერთს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც უფრო ხუმრობასა ჰგავს, ვიდრე ნამდვილს ამბავს: «ყოფილა იმისთანა ქალაქები, სადაც არავის არ უცხოვრია, თუმცა უფროსი ექიმი და სხვა მოსამსახურე კაცნი, როგორც წესი და რიგია, დაწესებულის შტატით ჰყოლია. ერთის სიტყვით, ქალაქი მხოლოდ ქაღალდზე იყო და იმ ალაგას-კი, სადაც ნამდვილი ქალაქი უნდა ყოფილიყო, იდგა მხოლოდ ბოძი, რომელზედაც ეწერა: ესა-და-ეს ქალაქიაო. მაგალითად, ასეთი ქალაქი იყო სოფიისკი მე-60 წლებში ციმბირში, და ამ ათის წლის წინად ასეთივე ქალაქი, სახელად ნიკოლაევსკი, გააშენა ორენბურგის გუბერნიაში იქაურმა გუბერნატორმა. ეს ქალაქი სამაზრო ქალაქი იყო, რომელიც განაგებდა ყირგიზების კარგა მოზრდილ მხარეს. დაარსეს თუ არა ეს ქალაქი, მაშინვე დანიშნეს, რასაკვირველია, დაწესებული რიცხვი მოხელეთა. ამ მოხელეთ არასოდეს არ უნახავთ ის ქალაქი, სადაც სამსახურში ითვლებოდნენ, და ან-კი როგორ ენახათ, როდესაც ქალაქი არც-კი ყოფილა. მოხელეები სცხოვრობდნენ მახლობელ ქალაქს ტროიცკში, რომელიც ასაშენებლად განზრახულ ქალაქ ნიკოლაევსკიდამ 200 ვერსტის სიშორეზე იყო. ბევრს გულითაც რომ სდომებოდა ნიკოლაევსკში დასახლება, ვერ მოახერხებდა, რადგან ამ უცნაურ ქალაქში შენობები სრულიად არ იყო. წერილები და ოფიციალური ქაღალდები ასე ეგზავნებოდათ ნიკოლაევსკის მოხელეებს: ნიკოლაევსკის მაზრის უფროსს, ან ნიკოლაევსკის მაზრის ექიმს ქალაქს ტროიცკში. ნიკოლაევსკიმ ამ ყოფით, უხალხოდ, უპატრონოდ, იღონღიალა 7—8 წელიწადი და ამის შემდეგ გაუქმებულ იქმნა. ნიკოლაევსკის ადგილას ეხლა დასახელებულია სოფელი ნიკოლსკოე, მხოლოდ ეს-კი არ ვიცით, სოფელიც მართლა არის, თუ არა».

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** რენე გობლეს, რომელიც ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა დღევანდელის საფრანგეთის პოლიტიკისა, ასე აგვიწერს იმისი თანამოძმევე, საფრანგეთის პუბლიცისტი ბ-ნი დელაფოსი: პატარაა, ქონდრის კაცი, პირხმელი, გულ-ფიცხი, ჭირვეული, ჭიჭინა, ძღარბივით ჯაგარ-აშვებულიო — აი ასე გვიხატავენ ყველანი საფრანგეთის დღევანდელს გარეშე საქმეთა მინისტრსა. ესეთი სახე და სურათი, რასაკვირველია, მეტად გადაჭარბებულია და გაზვიადებული, მაგრამ საზოგადოდ-კი რომ ვსთქვათ, უმთავრესნი ნაკვთნი ხასიათისა სწორედ არის აღნიშნული ამ სურათში და თქვენ თვალ-წინ გობლეს ხსენებაზედ ყოველთვის დამცინავი, ამაყი, მებრძოლი კაცი წარმოსდგება, ისეთი კაცი, რომელსაც მუდამ გული ყელში სჩრია და რომელიც მუდამ დამკლავებულია საბრძოლველად. საუბედუროდ, გობლემ დაიმსახურა ასეთის კაცის არა-სასიამოვნო სახელი. გობლე პროვინციელი ადვოკატია, ისეთი ადვოკატი, რომელიც დარწმუნებულია, რომ თავაზიანობისა და დარბაისლობისათვის დროს კარგვა არა ჰღირსო. ამიტომ არის ასეთი უსიამოვნო კაცი გობლე. მაგრამ თუმცა ეს ასეა, შეცდომა იქნებოდა ჩვენის მხრით გვეფიქრა, რომ ეს არის და ამის მეტს სხვას აღარას წარმოადგენს გობლეო. გობლეს ისეთი ღირსებაცა აქვს, რომ ჰფარავს იმის ნაკლებულობას. ჯერ ერთი, რომ გობლე მეტად პატიოსანი კაცია. მადლობელი გახლავართო! მეტყვით თქვენ, პატიოსანი კაცი ისე ცოტა არ არის საფრანგეთში, რომ ცარიელის პატიოსნებისათვის კაცი დიდ მოღვაწედ გავხადოთ და პატიოსნებას დიდ სათნოებაში ჩამოვართვათო. ეს მართალია, მაგრამ ყველა სათნოება უნდა გავზომოთ და დავაფასოთ იმ საზოგადოების მიხედვით, სადაც ეს სათნოება თავს იჩენს. ამ მხრივ ჩვენი დრო ისეთი დროა, რომ იშვიათია კაცი, რომელიც პოლიტიკაში გარეულიყოს და ხელები არ გაესვაროს სხვის ფულებითა. ჩვენს დროში, როცა თითქმის ყველა ჰყიდის ნამუსსა და სინიდისს, იღებს ქრთამს და თავის საქმეებს იკეთებს, არას დროს არა გვსმენია, რომ ბ-ნმა გობლემაც თავისი მაღალი და დიდი თანამდებობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და უზრუნველ ჰყო თავისი თავი წუთი-სოფლის უკუღმა მოტრიალე ჩარხისაგანაო. რასაკვირველია, გობლე პირველი მაგალითი არ არის ასეთის უანგარობისა, მაგრამ ამ კაცს მაინც ვერას გზით ვერ დავწამებთ, რომ თავის მეგობრებსა და ნათესავებს საქმეს უჩალხავდაო. თავისუფლება საყოველთაო ნიღაბია ყველა რესპუბლიკელებისა, მაგრამ ყველამ ვიცით, რაც იფარება ამ ნიღაბ ქვეშ, რა ბოროტნი არიან ასეთის თავისუფლების მქადაგებელნი მაშინ, როცა თანამდებობა და უფლება ხელში ჩაუვარდებათ ხოლმე, როგორ სდევნიან ხოლმე მაშინ თავიანთ მოწინააღმდეგეთ ეს ვითომ თავისუფლებისათვის თავ-დადებულნი. გობლე ამისთანა რაზმის კაცი თავის დღეში არა ყოფილა და არც იქნება.

მომეტებულ ნაწილად გობლეს მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ თვითმმართველობა ქალაქისა და მწერლობისა ასეთის თავისუფლებით სარგებლობს. იგი მხნედ და თამამად იბრძოდა ფართი-ფურთისა და საკოლონიო პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთივე თავისუფლების და დამოუკიდებლობის სიყვარული გამოიჩინა საეკლესიო საქმეებშიაც.

მხოლოდ ბოლოს ვეღარ გაიტანა თავი გობლემ, დაჰკარგა დამოუკიდებლობა, თავისუფლების თავ-განწირული სიყვარული და თავადაც გაერია ისეთს დასობანასა და პოლიტიკანობაში, როცა კენჭებს ითვლიან და ყველაფრისათვის მზად არიან, ოღონდ ბევრი მომხრე იშოვნონ. მართალია, ამ მხრივაც გობლეს სამისო საკიცხავი არა ჩაუდენია, მაგრამ მაინც სახელი გაიტეხა, რაკი აჰყვა სხვების ფეხის ხმას, დასთმო თავისი დამოუკიდებლობა და პარტიობაში გაება. ასე რომ არ მომხდარიყო, გობლე ერთი მეტად სასარგებლო და ფრიად ნიჭიერი მოღვაწე იქმნებოდა იმ საქმისა, რომელსაც სინიდისის თავისუფლებასა და ერის გონების დამშვიდებას უწოდებენ.

გობლე პირველ-ხარისხოვანი ორატორია: ლაპარაკობს თავისუფლად, მარტივის ენით, მტკიცედ, გასაგებად და გულ-დაჯერებით, პირდაპირ სჭრის და აქეთ-იქით არ უხვევს. რასაკვირველია, გობლე არც იმ აზრის მძიერს აღფრთოვანებას იჩენს და არც ისე მედგრად შეინავარდებს ხოლმე ფრთა-შესხმით, როგორც გამბეტამ იცოდა, მაგრამ არც ისე სჭრის, რომ ტკბილის ლაპარაკითა, ცხვირის მოუბარობით მოჰხიბლოს მსმენელნი, როგორც ფრეისინემ იცის. იგი არ არის ტრიბუნი, არც ტკბილი მემუსიკეა და უფრო მართლის მოლაპარაკეა, ვიდრე ბრწყინვალების მოტრფიალე. პარლამენტში ბევრია იმაზე უფრო მჭევრმეტყველი, ენა-წყლიანი ორატორი, მაგრამ არც ერთს არ შეუძლიან ისე შეუფეროს და შეუწონოს ჩვენს დროს თავისი ლაპარაკი, როგორც გობლეს ეხერხება.

**ოსმალეთი.** ოსმალეთმა და ბოლგარიამ გაათავეს ერთმანეთში დავა ბაჟის გამო და ასე მორიგდნენ: უცხო ქვეყნის საქონელი შეიძლება ვაჭრებმა ორთავ ქვეყანაში თავისუფლად გაატარონ და ბაჟი მხოლოდ იქ უნდა გადაიხადონ, სადაც საქონელი მივა. რაიცა შეეხება თვით ოსმალეთისა და ბოლგარიის საქონელს, ამაზე ორთავემ უნდა აძლიონ ერთმანეთს დაწესებული ბაჟი.

**რუმინია.** აჯანყებულნი გლეხნი არა სცხრებიან. გლეხები გამაგრებულან სო-

---

[...]ალებში და დღეს ერთს ვაებასა, [...]ოდაობასა და სიღარიბეშია. სამი [ა]თასი თუმანი-კი დღესაც ბანკში ძევს [...]ელის ალა ანუ პარუნ ბეგის ქაღალდსა.

მე რომ მემატიანე ვიყო, ამ ამბავს ასე მოვიხსენიებდი: «მადამ სარომ დაჰკარგა თავისი უდიდესი შეძლება, გახდა მოწამლულ, რის გამო საკუთარი თმაც ერთიან მოჰშორდა თავიდამ და დღეს დიდს სიღარიბეშია თავისისავე გაუფრთხილებლობით». ესეც გაუფრთხილებლობაა, რომ ხელი დაანინეს კაცს ყველაფერზე და იქამდის გაალარიბეს, რომ უბრალო სა[...]ურის შეტანის ილაჯიც აღარა აქვს ერთ დროს მდიდარ მოქალაქე ქალს...

**

როგორც ჰხედავთ, მკითხველო, ასეთი ბრძნული და აღუშფოთებელი [...]ედულობა კაცს შეუძლიან ყველგან გამოიყენოს და დამშვიდდეს იმ მოსაზრებითა, რომ ყოველი კაცი თვითონვეა მიზეზი თავის უბედურებისა და, მაშასადამე, გამომძიებელიც უნდა თავისუფალი იყოს, პოლიციაც, მაყურებელიც და თვით ის მე[...]მელიცა, რომელმაც ხელი მოითბო სხვისა ცეცხლის-წვაზე.

სწორედ ასეთი ფილოსოფიური, ბრძნული აზრი უნდა ჰქონდეთ ამ [...]ილელ მედუქნეებსა და კიდევ ბევრს სხვას, რომელნიც საკვირველს არიან გამოსულნი შემდეგის ამბით: უკანასკნელ დროს ოლქის სასამართლომ რამდენსამე ვაჭარსა და მოქალაქეს გადუწყვიტა ციხეში დამწყვდევა ზოგს ორის თვის, ზოგს ოთხის თვის ვადით. რაზედ?—რაზედა და სულ უბრალო მიზეზზე. წონაში ატყუებენ მუშტარსა. გირვანქიანში, როგორც მოგეხსენებათ, უნდა იყოს ოთხმოც-და-თექვსმეტი მისხალი, არც მეტი და არც ნაკლები. მე აფთიაქის სასწორზედ არა ვლაპარაკობ. ჰო და, წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს ქალაქში სამი ვაჭარი არ მოიძებნებოდა ამ რამდენისამე წლის წინად, რომ მართალი სასწორის ქვა ჰქონოდა. გირვანქიან ქვას უნდა ჰკლებოდა ათიდამ ოცამდე მისხალი. ამისდა ვარაუდით ნახევარ-გირვანქიანსაც უთუოდ უნდა ჰკლებოდა, ნახევარ-ფუთიანსაცა და დანარჩენთაც. საკვირველი ის იყო, რომ არც ერთი ქვა სასწორისა არ აღემატებოდა კანონიერ ზომასა და დაკლებით-კი თითქმის ყველას აკლდა. აშკარა იყო, რომ ეს ამბავი შემთხვევას არ მიეწერებოდა.

გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქვები ან ნახეხი იყო, ან ქვემოდამ ამოღრუტნული და სხვანი. ერთის სიტყვით, კაცის ხელს ემუშავნა, რომ სიმართლის მაგიერ სიყალბესა ჰქონოდა გზა. ამ სიყალბის მსხვერპლნი იყვნენ მუშტრები.

მე რომ რაიმე უფლება მქონოდა, მხოლოდ მატიანეში მოვიყვანდი ყოველ ამისთანა შემთხვევას და მით გავათავებდი დავიდარაბასა. ჩემი მატიანე იქნებოდა სულ ამ ყალიბისა: „დღეს, ამა-და-ამ რიცხვს, ამა-და ამ განყოფილებაში, ამა-და-ამ მედუქნისაგან ივაჭრა ათი გირვანქა შაქარი ამა-და-ამ კაცმა. თითო გირვანქიანს აკლდა თხუთმეტ-თხუთმეტი მისხალი. ამა-და-ამ კაცმა „თავისისავე გაუფრთხილებლობით“ სავაჭროში იზარალა ას ორმოც-და-ათის მისხლის ფასი და წავიდა სახლში ბედნიერის აზრით, ვითომც ათი გირვანქა შაქარი წაეღოს“.

ამითი უნდა გათავებულიყო საქმე, თუ-კი ბრძნულად გავსინჯავდით გირვანქიანებსა, ვაჭარსა და მუშტარს. მაგრამ, მოგეხსენებათ, კაცი მუდამ კაცია და ყოველთვის აღუშფოთველი ფილოსოფოსობა მოუხერხებელია. მიზეზიც ეს არის, რომ მედუქნეებს ამ თვალით როდი შეჰხედეს. რაკი შეატყუეს სიყალბე, სტაცეს ხელი და სამართალს მისცეს. სამართალი როდი დასჯერდა იმ სიბრძნესა, რომ მუშტარმა თავისისავე გაუფრთხილებლობით იზარალაო. მუშტარი არც-კი ახსენა, ადგა და ციხე გადუწყვიტა შენს მედუქნეებსა — კვლავ აღარ იხმაროთ ყალბი ქვებიო.

ძალიან ჩააფიქრიანა ჩვენი ფილოსოფოსი მედუქნეები და «კუპეწები» ამ უცნაურმა გარემოებამ: „კაცო, ვის რა დავა აქვს, მუშტრის მეტს, სწორე სასწორი მაქვს, სწორე ადლი, თუ ყალბიო. თუ-კი მუშტარს მიაქვს, არას ამბობს, ბრმა თვალი აქვს, სხვები რა გულზე სკდებიანო. მუშტარს თავისისავე გაუფრთხილებლობით მიაქვს და ჩემი რა ბრალიაო“. მაგრამ რასა იქ, ჩემო კარგო არუთინ,

ასეა ეს სოფელი
არვისგან მიუნდობელი,

და შენც ამას იქით კაი სასწორი უნდა იქონიო, თორემ შენი ბრალი ეხლანდელს დროში...

უეჭველია ეხლანდელ დროს მესარდაფე მაკაროვიც ემდურება და გულზე ხელს იცემს. ეს ის მაკაროვია, რომელსაც ამ დღეებში ოთხი თვე ციხე გადაუწყვიტა ოლქის სასამართლომ და რაზედ?—სულ მცირე რამეზე: გამგეობის მოხელეს, ბ-ნ კომსარ ბალდანიჩ ტერ-დავითიანცს, მკვახე-მკვახე სიტყვები უთხრა და საყელოში ხელი ჩაავლო. ეს იყო იმისი დანაშაული. რად მოექცა უკადრისადა და რას ემართლებოდა საყელოს?—იმასა, რომ არ უნდოდა ქალაქის ვალი, 25 მანათი, გადაეხადნა. შეჰკრეს სახლების ქირა. შეძლებულ კაცისათვის ქირების შეკვრა და პოლიციის მისევა სათაკილოა და ამაზე გაცხარდა ბ-ნი მაკაროვიცა.

მაინც დღეს რომ ქალაქის საქმეები გადასინჯოს კაცმა, ჰნახავს, რომ ღარიბებზე გაცილებით ნაკლებადა ჰრჩება ვალი, ვიდრე მდიდრებზე. ერთს მდიდარ სახლის-პატრონზე ლაპარაკობენ შემდეგსა: ამ მდიდარ კაცსა ჰმართებს სულ ცხრა თუმანი და რაღაც კაპეიკები. როდესაც მივლენ ვალის სათხოვნელად, სახლის-პატრონი ბოდიშს იხდის — უკაცრაოდ, თქვენი ჭირიმე, ამ თვეებში ძრიელ ქესატადა ვარ, სულ რაღაც სამოცი თუმანი შემოდის თთვიური შემოსავალი და მე-კი მარტო სადილი მიჯდება თვეში ას ორმოც-და-ათი თუმანი. წარმოიდგინეთ ჩემი შევიწროებული მდგომარეობა და დამაცადეთ ერთი სამი თვე მაინცაო.

წარმოიდგინეთ თქვენა, მკითხველო, იმისი შევიწროებული მდგომარეობა და მე-კი უნდა გითხრათ, რომ მართალია, ბ-ნი მაკაროვი ვერ შესწვდება ამოდენა შეძლებასა, მაგრამ მაინც მოუპოვებია თავისთვის შეუწუხებელი ლუკმა და ამიტომ სწყენია, როგორც მოგახსენეთ, ქირების შეკვრა...

უწინდელ დროში ფულს დაჰხარჯავდი და ყველგან მართალი იქნებოდი, ეხლა-კი ფულიც ვეღარ იხსნის კაცს, თუ-კი მოპირისპირე მოუსყიდველი შეჰხვდა.

რას იტყვით, მკითხველო, განა აქ-კი არ შეიძლებოდა მემატიანეს გაემართლებინა ბ-ნი მაკაროვი — „თავისისავე გაუფრთხილებლობით“ მოუვიდაო!.. ეჰ, რა არ შეიძლებოდა, თქვენა გკითხავთ!..

სანო

ფლებში და ებრძვიან ჯარებს. მუდამ დღე თოფის სროლაა და ჯარებს იერიში იერიშზედ მიაქვთ გლეხებზედ, მაგრამ ვერ დაუმორჩილებიათ.

## წვრილი ამბები

მთელს ქვეყნის პირზედ ისე არსად არის გავრცელებული გაზეთები, როგორც ამერიკაში. ამ ქვეყანაში 11,314 ყოველ დღიური და კვირეული გაზეთი გამოდის. ისეთს დაბას და მცირეოდენად დასახლებულს ადგილს ვერ იპოვნით, თუნდა რამდენიმე ასი ოჯახი სცხოვრობდეს ამ ალაგს, რომ საკუთარი გაზეთი არა ჰქონდეთ, ხშირად მეტად საინტერესო და საყურადღებო. ამის შემდეგ მკითხველმა უეჭველად უნდა იკითხოს: როგორ ჰბეჭდავენ გაზეთს, როგორ მიჰყავთ რიგიანად, თუ მართლა ათას ხელის-მომწერზე მეტი არ აბადიათო?

ამერიკაში არსებობს რამდენიმე საგენტო, ისეთი დაწესებულება, რომელიც პროვინციის გაზეთს უხარჯოდ და უფასოდ მასალას უგზავნის. ასე წარმოიდგინეთ, გაზეთის ქაღალდსაც-კი თავისას აძლევს საგენტო, მხოლოდ იმ პირობით, რომ გაზეთის მეორე და მესამე გვერდზე დაბეჭდილია სხვა-და-სხვა ცნობანი და განცხადებანი. საგენტოს პირობა აქვს შეკრული სხვა-და-სხვა სავაჭრო სახლებთან, რომ უნდა ჰბეჭდოს დაავრცელოს ამ მოვაჭრეთა განცხადებანი, გარკვეულ ფასით, რასაკვირველია. ამ გვარად საგენტოს იმდენი მოგება და ხეირი აქვს, რომ შეუძლიან პროვინციის გაზეთებს თავის ხარჯით ქაღალდი უგიდოს და ცოტაოდე მასალაც მოუმზადოს. რაგი სოფელთა და დაბათა გაზეთების რედაქტორები მიიღებენ ხოლმე ქაღალდს, რომლის მეორე და მესამე გვერდზედ უკვე დაბეჭდილია სხვა-და-სხვა გაზეთებიდგან ამოღებული საინტერესო და საყურადღებო ცნობანი, პირველსა და მეოთხე გვერდზედ თავიანთ სოფლის, ან დაბის ამბებს მიუმატებენ და გაზეთი მზადა აქვთ.

რა თქმა უნდა, რომ მხოლოდ ისეთს გაზეთებსა ჰშველის და ჰშემწეობს საგენტო, რომელნიც კვირაში ერთხელ და ან ორჯელ გამოდიან. ყოველ დღიურ გაზეთებმა-კი თითონ უნდა ირჩინონ თავიანთი თავი. აგერ ამ ექვსის წლის წინად გამოჩნდა ერთი მადლიანი კაცი, რომელმაც ამ რედაქტორებსაც მხარი მისცა და თითონაც მილიონები ჩაიდო ჯიბეში. ამ კაცს სახელად სმიტი ჰქვიან.

სმიტმა ამ ექვსის წლის წინად დაარსა საგენტო, რომელსაც ეწოდება «Associated Press»-ი და რომელიც მზა-მზარეულს მასალას აძლევს 3—4 ათას გაზეთსა. საგენტოს რვა ცალკე განყოფილებანი აქვს ამერიკის სხვა-და-სხვა ქალაქებში, ნიუ-იორკის აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით.

ეს ახალი საგენტო განცხადებებს და გაზეთებიდგან ამოწერილს ცნობებს-კი არ უგზავნის, არამედ ახალს, მშვენიერს კორრესპონდენციებს აძლევს მასალად დიდ-ძალს გაზეთებს ერთსა და იმავე დროს. ეს კორრესპონდენციები ცნობილ მწერალთა და მეგაზეთეთა დაწერილია. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამერიკაში ხშირად კერძო კორრესპონდენტებიც არიან ისეთნი, რომ დასწერენ ხოლმე წერილს, რამდენსამე გაზეთს ერთსა და იმავე დროს უგზავნიან და შრომის ფასიც ყველასაგან ეძლევათ. ეს საგენტო-კი სულ სხვაფრივ იქცევა: თავისი საკუთარი კორრესპონდენტები ჰყავს, რომელთაც გადაწყვეტილი ჯილდო ეძლევათ ყოველ კორრესპონდენციის დაწერისათვის. როცა საჭირო მასალა გროვდება, აძლევენ ასოთ-ამწყობებს. რომ ამოაწყობენ მასალას, მაშინ სტამბაში ასხავენ იმისთანავე აწყობილს ერთხელ და სამუდამოდ დასაბეჭდად რამდენსამე ეგზემპლიარს.

3,000 და 4,000 გაზეთს ყოველ დღე ეგზავნება ეს ჩამოსხმული მასალა ექვსის სვეტის ოდენა. მასალას არიგებს «Express C°», რომელიც დიდს ჯარიმას იხდის, თუ ვინიცობაა რომელსამე რედაქციას დაუგვიანა ან სულ მოაკლო მასალა. საგენტო ყველა რედაქციას ამ ექვს სვეტში ოთხ-ოთხ მანათს ართმევს და ამასთან თავისის ხარჯით უგზავნის. როცა ზემოხსენებულს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოსხმულ ექვს სვეტს მასალას დაჰბეჭდავენ გაზეთები, აწყობილს უკანვე უბრუნებენ საგენტოს, რომ გადაადნონ და გამოიყენონ ეხლა სხვა მასალის ჩამოსასხმელად. თუ რამდენსამე გაზეთს არა ჰსურს, რომ გამოგზავნილი მასალა სულ ერთიანად დაჰბეჭდოს, გაჰხერხავს ტყვიას, არ-მოწონებულს ცალკე გადასდებს და დანარჩენს სტამბაში ჰგზავნის.

„Associated Press“-ს დიდ-ძალი შემოსავალი აქვს და ამასთან რედაქტორებსაც ძალიან უადვილდებათ შრომა, გაზეთის ჩქარა ავსება საინტერესო მასალით, მასალით, რომელსაც არც ხელ-ნაწერად გადაკითხვა უნდა, არც ამოწყობა, არც კორრექტურა და სხვანი.

—ემილ ზოლას განზრახვა აქვს თურმე, რომ ხუთი რომანი დასწეროს კიდევ. პირველი რომანი შეეხება ჯარს, მეორე—სასამართლოს, მესამე—მწერლობასა და საფინანსო საქმეებს, მეოთხე—საფრანგეთისა და პრუსიის ომს და მეხუთე—კომუნას.

—ინგლისის ჯალათი ბერრი წასულა ამერიკაში და განზრახვა აქვს თურმე, რომ იქ ლექციები წაიკითხოს ჰკაზაკობაზე, თვით დამნაშავეებზე საზოგადოდ და კერძოდ თავის ხელობაზე. ამ ლექციებისათვის ბერრის 12,000 მან. დაჰპირებიან.

—პარიჟში ბულანჟეს სახელი უკვე ცეკვა-თამაშობაშიაც გარეულა. კოტილიონისათვის ერთი ახალი ფიგურა კიდევ მიუმატებიათ. ფიგურასა ჰქვიან «გენერლის დაბრუნება». მოთამაშენი ამ ფიგურის დროს ფრაკის საყელოებს მაღლა იწევენ, ლურჯს სათვალეებს იკეთებენ, იკოჭლებენ თავსა და ისე სცეკვავენ.

# დეპეშა

16 აპრილი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ნება-რთვა, რომ საოპეკუნო საბჭომ, 1-ლ იელისიდგან მოკიდებული, უნდა აიღოს თითო ანდერძზე, რომელიც წარდგენილი იქნება შესანახავად საბჭოში, 25 მანათი.

გამოცხადებულია დადგინება შესახებ სამრეწველო სასწავლებელთა, რომელთაც საგანად აქვთ გაავრცელონ ტეხნიკური და სახელოსნო სწავლა-ცოდნა. საერო განათლების მინისტრს ნება მიეცა შეადგინოს დროებითი კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს, თუ რა რიგად შესაძლოა გაიმართოს სამრეწველო სასწავლებლები სახელმწიფო ხაზინის ხარჯით; კომისიაში უნდა იყვნენ წარმომადგენელნი საერო განათლების სამინისტროსი, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროთა. კომისიამ უნდა აირჩიოს ადგილები, სადაც სასწავლებლები უნდა გამართონ; უნდა დაადგინონ, თუ რომელ სასწავლებელში საკუთრად რომელი საგანი უნდა ისწავლებოდეს და უნდა შეადგინონ წესდება და შტატები სასწავლებლებისა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ მოწოდებულ იქმნან ზურგის ჯარის-კაცნი მომქმედ ჯარში სამსახურისათვის.

**ბერლინი.** ექიმი მაკენზი იმ გაზეთებს, რომელნიც იმას ჰკიცხავდნენ, ემუქრება, რომ პასუხს მოგთხოვთ სამართლის წინაშეო.

გ. «Correspondence de L'Est-ს» დეპეშით აუწყებენ პარიჟიდგან, რომ პრეზიდენტ კარნოს მოგზაურობის დროს ლიმოჟსა და პერიგში ბულანჟეს მომხრეებმა დემონსტრაციები მოახდინესო; ხალხი ყვიროდა „გაუმარჯოს ბულანჟესაო“! როგორც იმავე გაზეთს აუწყებენ ბერლინიდგან, თავ. ბისმარკმა არ ისურვა ჰერცოგის ტიტულის მიღება, რადგანაც ამ წოდების შესაფერი ქონება არა მაქვსო.

**ათინა.** როგორც ისმის, საბერძნეთს ყურადღება მიუქცევია იმისათვის, რომ ოსმალეთს სისრულეში არ მოჰყავს ბერლინის ხელ-შეკრულობის დადგენილებანი საბერძნეთის პროვინციების შესახებაო.

**პარიჟი.** გუშინ პრეზიდენტი კარნო მოვიდა ბორდოში. ხალხი დიდის ამბით მიეგება.

პარიჟში ბულანჟემ გაჰმართა დიდი სადილი. მრავალი ხალხი დიდის ამბით მიეგება და ჰყვიროდა: «არ გვინდა ფერრი, არ გვინდაო!» სადილზე ბულანჟემ გამოაცხადა, რომ ტყუილია, ვითომ მე დიქტატორობა მინდოდესო. მე თანახმა ვიქნები პრეზიდენტის ადგილის გაუქმებისა, თუ ამ გვარი წინადადება შეტანილი იქნება პალატაშიო.

**პეტერბურგი.** თავისუფალის ფლოტის ათის წლის არსებობის დღესასწაულის დღეს პოზდრავლენიე, პირველმა თავმჯდომარემ საზოგადოებისამ, გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს მილოცვის დეპეშა. ამ დეპეშაზე მისმა უდიდებულესობამ ინება და შემდეგი პასუხი მისცა: «გთხოვთ, ჩემი გულითადი მადლობა გამოუცხადოთ წინანდელ და დღევანდელ მოღვაწეთა თავისუფალის ფლოტისას. იმედი მაქვს, რომ ეს ფლოტი დღეგრძელი იქნება ჩვენის ვაჭრობისათვის შორეულ ქვეყნებთან. ყველას, ვისაც ამ ათის წლის განმავლობაში ულვაწნია თავისუფალის ფლოტის საკეთილდღეოდ, გარდაეცით ჩემი გულითადი მადლობა“.

პეტერბურგის ბირჟა 15 აპრილი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 66 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 192 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | — ,, | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 269 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 243¾ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 98 ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | 98 ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | 83½ | — ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე 4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 30 დღით არის

17 დღე კვირა. ბზობა. წმ. სვიმონისა და ადაპიტისა. კათოლ. რუდოლფისა. სომეხ. ბზობა (წახკაზარდი). იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლა. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—0, ჩადის 6—56. მთვარე 19 დღისაა.

18 დღე ორშაბათი. ღირსისა იოანესი და ვიქტორისა. კათოლ. ნაპოლეონისა. სომეხ. მოგონება ქვეყნის დაარსებისა და ადამის სამოთხიდგან განდევნისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—58, ჩადის 6—57. მთვარე 20 დღისაა.

19 დღე სამშაბათი. წმ. გიორგისა და ტრიფონისა. კათოლ. ცეზარისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა შაბანისა 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—57, ჩადის 6—58. მთვარე 21 დღისაა.

20 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ანასტასიასი და თევდორესი. კათოლ. აგნესასი. სომეხ. დიდი ოთხშაბათი, სოდომისა და გომორის დაქცევის მოგონება. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 6—59. მთვარე 22 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | 1 | გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | | | 3 | » |
| » 2 » | | | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | | 5 | » |
| » » 2 » | | | 3½ | |
| » » 3 » | | | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | | » |
| 1-ლის ხარისხისა . | | | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . | | | 4 | » |
| მე-3 — . . | | | » | » |
| ძროხის ხორცი . . | | | 9 | » |
| » 2 » | | | 8 | » |
| სუკი . . . | | | 16 | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 12 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | | » | » |
| » 2 | | | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


# განცხადებანი

ვისაც შეუძლიან იკისროს თეძრის კურდღლების მოყვანა იჯარით, სთხოვენ გამოცხადდნენ 3-ს მაისს 1888 წელს, შუადღისას, საჰიგიენო ლაბორატორიაში (Гигіеническая лабораторія), ტფილისის ათთიაქის მაღაზიის შენობაში, იუნკრების სასწავლებლის მახლობლად, კუკიაში. ვინც ამ გვარს იჯარას იკისრებს, შეუძლიან ყოველივე პირობა იჯარისა შეიტყოს ხსენებულს ლაბორატორიაში ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—3)

**ქუთაისში**
მ. ი. ნიკოლაძის

მაღაზიაში მიღებულია და ისყიდება დიდ-ძალი აბრეშუმის სადა ბლონდები, აგრეთვე ნაქერი ჩიქილები აბრეშუმისა და ბამბის ძაფებით და დაბასმულებიცა. (10—8)

დავიწყეთ გასყიდვა სრულიად უშიშარის

შვედურის ასანთისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნაღდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

**ქარხანა**

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კ°. ვერაზე, ტფილისის ქალაქში. (50—44)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შემდგნილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . ,, | | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . ,, | | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . ,, | | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . ,, | | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ მეექვსისა (რუსულს ენაზე) . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთელისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | | 20 |


Доз. ценз. Тиф., 16 Апрѣля 1888 г., Типографія А. А. Михельсона. Гол. просп., д. № 12. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე